

საგანმანათლებლო კურიკულუმის შექმნისა და მართვის ვებ პლატფორმა

ანა არაქელიანი

სამაგისტრო ნაშრომი

ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი

ნაშრომის ხელმძღვანელი: ნანა დიხამინჯია



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანა არაქელიანი

03 ივლისი 2020

აბსტრაქტი

ნაშრომის მიზანია, შეიქმნას საქართველოს ხარისხის განვითარების ცენტრის სტანდარტების შესაბამისი კურიკულუმის განვითარებისა და მართვის პროგრამული უზრუნველყოფა, როგორც საერთაშორისო გამოცდილების, ისე, ადგილობრივი პრობლემების გათვალისწინებით. სამაგისტრო ნაშრომში საკვლევი ლიტერატურის საფუძველზე ხდება განათლების საერთაშორისო ბაზარზე არსებული კურიკულუმების მართვის სისტემების მიმოხილვა და შედარებითი ანალიზი. ადგილობრივი პრობლემების შეფასება ხდება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, კურიკულუმის თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან და აკრედიტაციის ექსპერტებთან გასაუბრებით. კვლევის მიზანია, შეფასდეს კურიკულუმის მართვის საინფორმაციო სისტემის გავლენა კურიკულუმის შექმნის, მართვისა და საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პროცესებზე.

სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში შექმნილი პროგრამული უზრუნველყოფის ფუნქციონალი მოიცავს უმაღლესი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმის შედგენას სასწავლო კურსების სილაბუსების და სხვა დამატებითი ინფორმაციის საფუძველზე, რომელსაც აქვს შესაძლებლობა, გააერთიანოს სასწავლო კურსებში განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის მონაცემები. პროგრამული უზრუნველყოფა ითვალისწინებს საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის მოთხოვნებს და შესაძლებელია მისი დანერგვა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, როგორც პროგრამების შექმნისა და განვითარების მოხერხებელი ინსტრუმენტის.

Abstract

The purpose of this work is to develop a software for the development and management of the curriculum in accordance with the standards of the Education Quality Enhancement Center of Georgia, taking into account both international experience and local problems. Master thesis considers comparative analysis of curriculum management systems in the international education market based on research literature. Local issues are assessed by interviewing the University Quality Assurance Service, the Curriculum Self-Assessment Team, program managers and accreditation experts. The aim of the study is to assess the impact of the curriculum management information system on the curriculum development processes, the accreditation of the educational program and its management.

The functionality of the software created as part of the master thesis includes the preparation of a curriculum for a higher education program based on curriculum programs and other additional information that allows you to combine various types of data defined in training courses. The software takes into account the accreditation requirements of the National Center for the Development of Quality in Education in Georgia and can be implemented at Ilia State University as a convenient tool for creating and developing programs.